ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა
კომისიის გაერთიანებული სხდომის ოქმი №27

24 მაისი, 2019 წელი

12:00 საათი

(დიმიტრი ყიფიანის სახელობის სხდომათა დარბაზი)

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის გაერთიანებული სხდომა ჩატარდა ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო და განათლებისა და კულტურის კომისიებთან ერთად. გაერთიანებულ სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. გიორგი ბირბიჩაძე
2. გიორგი დოხტურიშვილი;
3. ნინო ლაცაბიძე;
4. თამარ ტალიაშვილი
5. ვლადიმერ ძნელაძე;
6. ლილე ლიპარტელიანი;

მოწვეული სტუმრები: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე.

სხდომის დღის წესრიგი:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის № 34 - 115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (წერილი №12-031914291-03; 01-01191422282; 22.05.2019).

გაერთიანებულ სხდომას თავმჯდომარეობდა ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა.

თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა. კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს წარმოუდგინა ქვორუმი და გააცნო დღის წესრიგი.

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის № 34 - 115 დადგენილებაში, კერძო: შეზღუდული

შესაძლებლობის მქონე პირთა საკურორტო მომსახურება (კოდი 06 02 04 01) იზრდება 210,0 ათასი ლარით, წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება გლდანის რაიონში (კოდი 06 02 20 01) იზრდება 189,0 ათასი ლარით, ხოლო, სასწრაფო სამედიცინო დახმარება (კოდი 06 01 01) მცირდება 22,9 ათასი ლარით.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ და წევრებმა დადებითად შეაფასეს წარმოდგენილი ცვლილება.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 1

<u>კომისიამ დაადგინა</u>

პროექტი განხილული იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე — გიორგი ბირბიჩაძე